

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N012/17¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების შესაბამისად, კლიენტმა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი წინასწარ გადაიხადა. ადვოკატმა დაიწყო კლიენტის საქმის წარმოება, მოიძია დოკუმენტები, რის შემდგომაც უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოში. კლიენტმა მოულოდნელად განაცხადა, რომ მისი ახლობელი ადვოკატი მომსახურებას ჰონორარის გადახდის გარეშე გაუწევდა, რის გამოც წყვეტდა ურთიერთობას ადვოკატთან და მოითხოვა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება. აქვს თუ არა ჰონორარის უკან დაბრუნების ვალდებულება ადვოკატს?

სამართლებრივი შეფასება

აპკ-ის 8.15 მუხლის გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის, ასევე ადვოკატის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე. როდესაც ადვოკატს მომსახურების ჰონორარი კლიენტისაგან წინასწარ აქვს მიღებული, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის გამო სრული მოცულობით ვერ ახორციელებს წარმომადგენლობას, მას შეუძლია მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი. დარჩენილი თანხა კი აუცილებლად უნდა დაუბრუნოს კლიენტს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა შეასრულა გარკვეული საპროცესო მოქმედებები. თუმცა იგი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს გადახდილი ჰონორარის ის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მას იურიდიული მომსახურება არ გაუწევია. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას.

დასკვნა

ადვოკატს შეუძლია გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო აპკ-ის 8.15 მუხლის შესაბამისად. დარჩენილი თანხა კი უნდა დაუბრუნოს კლიენტს.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fc7a110f43.pdf/22%20February%202017%20012.17.pdf>